ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 3235 09 05/12/2017

.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩა N32-ში მდებარე ძველი პოლიციის შენობის პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი''54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა''ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ'' ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №26 10 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩა N32-ში მდებარე ძველი პოლიციის შენობის (მიწის გარეშე) პრივატიზებისათვის, საკადასტრო კოდი: 61.05.21.161.

2.პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 9200 (ცხრაათასორასი) ლარის ოდენობით.

3.დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

4.ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5.დაევალოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge.

6.წინამდებარე ბრძანება (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.adigeni.ge.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის.ქ.ახალციხე, კ.მეგაღიშვილის ქ.62).

8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაქარია ენდელაძე

მუნიციპალიტეტის მერი